ექსპერტის განმარტებითი ბარათი №3801394

გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3801394 გადაწყვეტილებით, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით დადგენილი ხარვეზების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

1. **„მითითებული კონსტრუქციული ტიპი არ შეესაბამება პროექტს"**

საპროექტო შენობისათვის მიკუთვნებულია კონსტრუქციის ტიპი (II-B ტიპი), რომელიც შერჩეულია შენობის დაკავებულობის, ფართობისა და სართულიანობის მიხედვით. „წესების" 503 ცხრილის მიხედვით სწ-1 -ისთვის დაშვებული ფართობი არის 1630 მ^2, 506.3 ქვეთავის მიხედვით ფართობი შესაძლებელია გაიზარდოს 300%-ით (1630X3=4890), რადგან შენობა არის 1 სართულიანი და აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. აქედან გამომდინარე პროექტის მიხედვით განსაზღვრული ფართობი (3565.7 მ^2) შესაბამისობაშია მითითებულ კონსტრუქციულ ტიპთან (II-B).

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მითითებულია გეგმების ველში ატვირთულ, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში - „ფართობის შეზღუდვები" (გვ.4) და ექსპერტიზაში - „ბ) კონსტრუქციის ტიპის შეფასება" (გვ.3 და გვ.4).

2. **„საჭიროა განმარტოთ რისი დასაწყობება მოხდება შენობაში"**

შენობაში მოეწყობა საწყობი, სადაც დასასაწყობებელ პროდუქციას წარმოადგენს ქაღალდის რულონები და სარეცხი საშუალებები.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მითითებულია გეგმების ველში ატვირთულ - პროექტის შინაარსობრივ აღწერაში (გვ.1) და ექსპერტიზაში - „შინაარსი" (გვ.1) და - ა) „დაკავებულობისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება" (გვ.3).

3. **„გაურკვეველია 4*-4 ღერძებში ყრუ კედელთან მითითებული გასასვლელი“**

საპროექტო გეგმის მიხედვით 4*-4 ღერძებში არის ყრუ კედელი და არ არის მოწყობილი გასასვლელი. აღნიშნული წყვეტილი ხაზი არის გასასვლელამდე სავალი მანძილის მაჩვენებელი, რომელიც აღებულია გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და მიემართება გასასვლელის გზა-კარებამდე.

ექსპერტი, კიდევ ერთხელ, ვადასტურებ აღნიშნულ ნაწილში ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ექსპერტი:  ირაკლი კვარაცხელია

შ.პ.ს.
სილვა გრუპი

SILVA GROUP
LTD

N 001/140

12. 09. 2017 წ

ს/ს "თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო
ინსტრუმენტების ქარხანა"ს
ID ნომერი:209437233

ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მ/წლის 06–12 სექტემბერს საქართველოს კანონის ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №10-40 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N 5 – 31 ბრძანების საფუძველზე შეგისწავლე მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა ხანძთელი , N 2. საკადასტრო კოდი: N 01.11.04.003.001 არსებული ხე–მცენარეების მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ საექსპერტო დასკვნას მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე და ფოტომასალას 1 CD დისკზე.

დირექტორი
დავით კობახიძე

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სიხარულიძის ქ. № 11. ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნა

თარიღი: 12.09.2017წ.
კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა ხანძთელი , N 2
საკადასტრო კოდი: N 01.11.04.003.001
დამკვეთი: ს/ს "თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების ქარხანა" , ID ნომერი:209437233

ხე–მცენარეების აღრიცხვის უწყისი

რიგითი N	ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	მდგომარეობა
1	4	კაკლის ხე(Juglans regia)	24.5	ორკაპი, ჯანსაღი,
2	5	ტირიფი(Salix)	86.0	დაავადებული
3	11	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	84.4	გადაბერებული, დაავადებული
4	12	თეთრი ვერხვი(Populus alba)	86.0	გადაბერებული, დაავადებული
5	13	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	78.0	გადაბერებული, დაავადებული
6	15	ალუბალი(Prunus cerasus)	22.6	ხილ–კენკროვანი
7	19	თუთა ჩვეულებრივი(Morus)	29.0	ჯანსაღი
8	20	ალუბალი(Prunus cerasus)	27.1	ხილ–კენკროვანი
9	21	ლეღვი(Ficus carica)	31.5	ხილ–კენკროვანი
10	22	ლეღვი(Ficus carica)	19.7	ხილ–კენკროვანი
11	24	ჭერამი(Prúnus armeniáca)	46.2	ხილ–კენკროვანი
12	25	ჭერამი(Prúnus armeniáca)	18.5	ხილ–კენკროვანი
13	26	ჭერამი(Prúnus armeniáca)	19.4	ხილ–კენკროვანი
14	29	თუთა ჩვეულებრივი(Morus)	41.1	ჯანსაღი
15	30	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	101.9	გადაბერებული, დაავადებული
16	31	ჭადარი(Platanus)	129.0	ჯანსაღი
17	32	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	112.4	გადაბელილი 4მ–ზე, ზეხმელი

18	33	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	95.9	გადაბერებული, დაავადებული
19	38	კვიპაროსი პირამიდული – Cupressus pyramidalis	45.2	ჯანსაღი
20	39	კვიპაროსი პირამიდული – Cupressus pyramidalis	38.9	ჯანსაღი
21	40	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	129.9	გადაბერებული, დაავადებული
22	41	თუთა ჩვეულებრივი(Morus)	54.8	ჯანსაღი
23	42	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	66.9	გადაბერებული, დაავადებული
24	43	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	133.1	გადაბერებული, დაავადებული
25	44	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	55.4	გადაბერებული, დაავადებული
26	45	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	91.1	გადაბერებული, დაავადებული
27	46	თეთრი ვერხვი(Populus alba)	93.3	ჯანსაღი
28	47	თეთრი ვერხვი(Populus alba)	81.2	გადაბერებული, დაავადებული
29	48	თეთრი ვერხვი(Populus alba)	45.2	დაავადებული, გადაბერებული
30	49	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	59.9	გადაბერებული, დაავადებული
31	50	ვერხვი კანადური(Populus deltoides)	82.2	გადაბერებული, დაავადებული
32	51	თეთრი ვერხვი(Populus alba)	130.6	გადაბერებული, დაავადებული

დამკვეთის მიერ მოთხოვნილია წარმოდგენილ ტოპოზე და ადგილზე დანომრილი 53 ძირი ხე–მცენარიდან 32 ძირი ხე მცენარის ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის მომზადება. კერძოდ: 12 ძირი ვერხვი კანადური, 5 ძირი თეთრი ვერხვი, 3 ძირი თუთა ჩვეულებრივი, 1 ძირი კაკლის ხე, 2 ძირი კვიპაროსი პირამიდალური, 1 ძირი ტირიფი, 1 ძირი ჭადარი და 7 ძირი ხილ–კენკროვანთა ჯგუფის ხე–მცენარე (3 ძირი ჭერამი, 2 ძირი ლეღვი, 2 ძირი ალუბალი).

აღრიცხული 32 ხე–მცენარიდან:

1 ძირი N–32 კანადური ვერხვი ზეხმელია.

16 ძირ ხე–მცენარეზე (1 ძირი ტირიფი, 4 ძირი თეთრი ვერხვი და 11 ძირი ვერხვი კანადური) შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუშები პრესლერის ბურღით) და ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა (იხ. დანართი N 1).

ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა და 16–ივე ძირი გადაბერებული, დაავადებულია და მათი განკურნება შეუძლებელია (იხ. დანართი N 1)

7 ძირი ხილ–კენკროვანთა ჯგუფის ხე–მცენარეა (3 ძირი ჭერამი, 2 ძირი ლეღვი, 2 ძირი ალუბალი).

4 ხე–მცენარის გადარგვა შესაძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით. კერძოდ: N–4 კაკლის ხე, N–38 კვიპაროსი, N–39 კვიპაროსი და N–19 თუთა. მესაკუთრეს ეძლევა რეკომენდაცია გადარგვის შემდეგ პროცედურებზე: დარგვამდე უნდა მოამზადდეს ამოღებული ნერგის სიგრძისა და გარშემოწერილობის შესაბამისად. კვიპაროსის სახეობის ორივე. ხე–მცენარე ამოღებული უნდა იქნას კომით. მათი გადარგვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი 32 ძირი ხე–მცენარისა ტერიტორიაზე კიდევ განთავსებულია 86 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ: 13 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი (ჯანსაღი), 15 ძირი ვერხვი კანადური (შეინიშნება მავნებელ–დაავადებათა კერები), 12 ძირი ცრუ აკაცია (2 მათგანი წვერხმელი), 12 ძირი თუთა ჩვეულებრივი (2 მათგაზე შეინიშნება მავნებელ–დაავადებათა კერები), 1 ძირი ჭადარი (ჯანსაღი), 3 ძირი ტირიფი (ჯანსაღი), 1 ძირი ბიოტა (ჯანსაღი), 8 ძირი ბიჭვინთის ფიჭვი (ჯანსაღი), 4 ძირი ვაზი (ჯანსაღი), 1 ძირი კაკლის ხე (ჯანსაღი), 7 ძირი ლეღვი (ჯანსაღი) და 9 ძირი ჭერამი (ჯანსაღი).

შემსრულებელი:

დავით კობახიძე
ექსპერტი

საქართველო, 0178, თბილისი, ი. სახარულიძის ქ. № 11, ტელ. (+995) 551 606226,
11Sikharulidze st, Tbilisi, Georgia, (+995) 551 606226 Email: davitkob@gmail.com